სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

21/02/2025

MES 6 25 0000190644

ბრძანება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე საკონკურსო პირობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 126^1 მუხლის 2^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 თებერვლის N181065 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 17 თებერვლის №162133 და დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 თებერვლის №182881 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობაზე საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადით, 2025 წლის 24 თებერვლიდან 2025 წლის 10 მარტის ჩათვლით;
ბ) სარგო: 4818 (ოთხი ათას რვაას თვრამეტი) ლარის ოდენობით, ცენტრის საშტატო განრიგის შესაბამისად;
გ) ადგილების რაოდენობა - 1 (ერთი);
დ) სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი;
ე) გამოსაცდელი ვადა - 6 (ექვსი) თვე.
2. ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სასურველია განათლების/ბიზნესისა და ადმინისტრირების/სამართლის სფეროებში);

ბ) საგანმანათლებლო სფეროში (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მუშაობის გამოცდილება;
გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
დ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - B2 დონეზე; ქართული ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - C2 დონეზე;
ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
3. საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“;
გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
დ) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ე) ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ვ) ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ზ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;
თ) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 აგვისტოს №964009 ბრძანება;
ი) ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG-2015) - http://erasmusplus.org.ge/files/files/ESG_2015.pdf ;
კ) ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ცოდნა (ბმული - https://eqe.ge/ka/page/static/71/boloniis-protsesi);
ლ) ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
მ) ,,ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №717 ბრძანება - https://shorturl.at/YD65H.
4. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამსახურის ფუნქციებს მიკუთვნებული საქმიანობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, თანამშრომელთა მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხისა და ვადების დაცვის კონტროლი;
ბ) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამსახურის მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესასრულებლად შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;

გ) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობის პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარების მიზნით, სამსახურის მხარდამჭერი საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა;
ე) სამსახურისთვის გრძელვადიანი და მოკლევადიან ამოცანების დასახვა და წარმართვა. ასევე, სამუშაო გეგმებით დასახული ამოცანების მიღწევაზე კონტროლის განხორციელება;
ვ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების ფორმირების, საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების მუშაობის პროცესის დაგეგმვა;
თ) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG), ასევე სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
ი) ,,უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგის" და ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
კ) შემოსული და სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადებული ყველა სახის კორესპონდენციის გაცნობა და მათზე საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად დროული რეაგირების უზრუნველყოფა;
ლ) სამსახურში შემოსულ კორესპონდენციაში მოცემულ საკითხებზე თანამშრომელთათვის კონკრეტული მიმართულებების მიცემა და მათთვის თემატური კონსულტაციების გაწევა;
მ) სამსახურის კომპეტენციის სფეროში შემავალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციების ვიზირება და „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისათვის უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ" დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კორესპონდენციების ხელმოწერა;
ნ) სამსახურის კომპეტენციიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
ო) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის, სამსახურში დასაქმებული პირებისა და საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება და დირექტორის კურატორი მოადგილისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დირექტორისთვის წარდგენა;
პ) სამსახურის თანამშრომლების წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციის ამაღლებაზე, დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ცენტრის დირექტორის კურატორი მოადგილისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დირექტორისთვის წინადადებების წარდგენა;
ჟ) სამსახურის ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებზე სამსახურის ერთიანი პოზიციის დაფიქსირება;
რ) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ განსახორციელებელი გარე შეფასებისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობა;
ს) სამედიცინო მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ განხორციელებული გარე შეფასებისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობა;

ტ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება, შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაწევა და დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა;
უ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა, მათ შორის კომპეტენციის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან თანამშრომლობა;
ფ) დირექტორის კურატორი მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დირექტორის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
5. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნება;
ბ) შედეგზე ორიენტაცია;
გ) კომუნიკაციის დაგეგმვა და წარმართვა.
6. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს გახდეს ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მისი პიროვნული თვისებები და სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობაში.
7. კონკურსის ჩატარების ეტაპები განისაზღვროს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) გასაუბრება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.
8. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, ანალიტიკური აზროვნების უნარის, მოტივაციისა და ინგლისური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით. გასაუბრების შეფასების ფორმა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
9. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა და ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
10. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

ელექტრონული
ფასმეცნიერება
ელექტრონული